

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონპროექტზე

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი: საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ მუხლი 13 პუნქტი 9 და 10 არეგულირებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის ფინანსური დახმარების მოცულობის განსაზღვრისათვის, მისი წარდგენის (15 ივნისამდე) და დადგენის (20 სექტემბრამდე) ვადებს, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური დახმარების მოცულობის განსაზღვრის ვადები დადგენილი არ არის.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი: კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის დროულად და ხარისხიანად მომზადებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი: დარეგულირდეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის ფინანსური დახმარების მოცულობის განსაზღვრის ვადები, რაც თავის მხრივ დადებით გავლენას იქონიებს საბიუჯეტო პროცესზე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: კანონპროექტის მიღება არ იწვევს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე: კანონპროექტის მიღება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენას არ იქონიებს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე: კანონპროექტის მიღება დამატებით ფინანსურ ხარჯებს ბიუჯეტიდან არ მოითხოვს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები: სახელმწიფო ახალ ფინანსურ ვალდებულებებს არ იღებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება: კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსური შედეგების ცვლილებას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი): კანონპროექტი არ ეხება გადასახადებისა და მოსაკრებლების ოდენობას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან: კანონპროექტი არ ეხება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან: კანონპროექტი არ ეხება საქართველოს ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან: კანონპროექტი არ ეხება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საქართველოს ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ზურაბ ღომიძე.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში: შეფასება დადებითია.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მერაბ ქიძინიძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

***„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში
დამატებების შეტანის თაობაზე***

მოქმედი კანონი არ არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის ფინანსური დახმარების, მიზნობრივი სუბსიდიებისა და სუბვენციების გადაცემის ვადებს, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენს

საბიუჯეტო პროცესზე და განაპირობებს რესპუბლიკური ბიუჯეტის დაგვიანებით მიღების შესაძლებლობას.

ამასთან, საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ მუხლი 13 პუნქტი 9 და 10 არეგულირებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის ფინანსური დახმარების მოცულობის განსაზღვრისათვის, მისი წარდგენის (15 ივნისამდე) და დადგენის (20 სექტემბრამდე) ვადებს.

ასევე, საქართველოს კანონის „საბიუჯეტო სისიტემის შესახებ“ ძირითადი პრინციპების (მათ შორის – დამოუკიდებლობა) უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური დახმარების მოცულობის განსაზღვრის ვადების დაწესება.